ხელშეკრულება №02/35/10/11

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2011 წლის 24 ოქტომბერს ქ. თბილისში

შემსყიდველი: შპს „საქაერონავიგაცია“, წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ედიშერაშვილის სახით,

მისამართი: ქ.თბილისი, აეროპორტი 0158, ტელ. 2 74 42 12
საბანკო რეკვიზიტები: სს „ბანკი რესპუბლიკა“, ბანკის კოდი 220101757; ა.ა 005467067 ს/კოდი 208144051.

მიმწოდებელი: შპს „ინსტა“, წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ბახსოლიანის სახით,

მისამართი, ტელეფონი - ზაქარიაძის №8, 0177 თბილისი, ტელ: 2 20 20 23
საბანკო რეკვიზიტები - სს „ბანკი რესპუბლიკა“, ბანკის კოდი REPLGE22, ა/ა GE51BR000000 0036082919. ს/კოდი 202 057 264.

ერთის მხრივ – შემსყიდველი და მეორეს მხრივ – მიმწოდებელი, ადასტურებენ რომ, მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1 ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს კომპიუტერის კაბელის (მე-7 კატეგორია, S/FTP-Cat7) შესყიდვა: 1500 მეტრი, ერთეულის ფასი – 2.21 ლარი, საერთო ღირებულებით 3 315.00 ლარი.
1.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი (CPV) – 32421000.
1.3.შესყიდვის განხორციელების საშუალება: გამარტივებული შესყიდვა, საქართველოს მთავრობის განკარგულება №1390, 05.07.11 წელი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 3315.00 ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადს.

3. მიწოდების ვადა და მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მიმწოდებელმა საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, შპს „საქაერონავიგაცია“.
3.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის

განმავლობაში. ამასთან მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადები.

4.2. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

4.3. გადახდის ფორმა – უნაღდო.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება სრული მოცულობით ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

5.1.2. საკუთარი სახსრებით გამოასწოროს ყველა დეფექტი, აღმოჩენილი საქონლის მიწოდების დროს.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

5.2.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული და სრული გადახდა.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია:

5.3.1. მოახდინოს ანგარიშსწორება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.4.1. კონტროლი გაუწიოს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებას, რისთვისაც გამოყოფს ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებაზე პასუხისმგებელ პირს – ჯაბა ვაჭარაძეს, შპს საქაერონავიგაციის შესყიდვების ექსპედიტორი.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა, ფორს-მაჟორული სიტუაციები

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

6.2. დადგენილ ვადაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

6.3. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან, თუ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული პირობების გამო. ასეთ შემთხვევაში მხარეები სამი დღის ვადაში აცნობებენ ერთმანეთს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს. რის შემდეგაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორს-მაჟორის გაგრძელების ვადით ან ხელშეკრულება მოიშალოს მხარეთა შეთანხმებით.

7. დავის გადაწყვეტა

7.1 სადაო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული დავის წამოჭრიდან ერთი თვის განმავლობაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

9. დასკვნითი დებულებები

9.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზედაც მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 5 კალენდარული დღით ადრე.

9.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი დამატებითი შეთანხმების სახით.
9.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებთან.

10. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
შპს „საქაერონავიგაცია“	შპს „ინსტა“
დირექტორი გ. ედიშერაშვილი	დირექტორი ~~გ. ბახსოლიანი~~